

1 საკითხი

1. გამგეობის სხდომის მოწვევის განმარტება:

დღევანდელი გამგეობის სხდომის მოწვევა განპირობებულია ბოლო პერიოდში რაგბში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის 30 დეკემბერს გაიმართა რაგბის კავშირის საარჩევნო ყრილობა, რომლის შედეგების რეგისტრაციაზე, გამარჯვებულ კანდიდატს ირაკლი აბუსერიძეს საჯარო რეესტრმა 2021 წლის 06 იანვარის გადაწყვეტილებით, მთელი რიგი სამართლებრივი ხარვეზების დადგენის გამო დაუხარვეზა წარდგენილი დოკუმენტაცია. საჯარო რეესტრის აღნიშნული გადაწყვეტილება, ირაკლი აბუსერიძის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გასაჩივრდა 2021 წლის 22 იანვარს და საჯარო რეესტრის პასუხის ბოლო ვადად განისაზღვრა 2021 წლის 21 თებერვალი. იმის გათვალისწინებით, რომ სრკ-ს წესდებით მორიგი ყრილობის გამართვის ვადად განსაზღვრულია 25 თებერვალი, საჭიროდ მიმაჩნია, რომ დავიჭიროთ შესაბამისი თადარიგი, რათა რაგბის კავშირს 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დროს არ შეექმნას პრობლემები. როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი სტარტს იღებს 2021 წლის მარტში და ყრილობა, რომლის დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იქნება პრეზიდენტის არჩევნები ჩავნიშნოთ 2021 წლის 24 თებერვალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთავაზობთ, იმ შემთხვევაში თუ საჯარო რეესტრმა 2021 წლის 22 თებერვლამდე დააკმაყოფილა ირაკლი აბუსერიძის საჩივარი და დაარეგისტრირა ის რაგბის კავშირის პრეზიდენტად, დღევანდელი გამგეობის ხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები გამოცხადდეს ბათილად.